



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება



MES 4 22 0001117177



20/09/2022

„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტოპოგრაფია“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 აგვისტოს N897351 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 15 სექტემბრის №1082591 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტოპოგრაფია“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 12 აგვისტოს N897351 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბეჭდვითი მედია/ტიპოგრაფია“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ვიზუალური კომუნიკაცია/მედიახელოვნების“ („ვიზუალური კომუნიკაცია“, „მედიახელოვნება/ციფრული მედია“, „მულტიმედია დიზაინი“, „გრაფიკული დიზაინი“ და „ბექედვითი მედია/ტიპოგრაფია“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად.“.

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ

